

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:**

ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. № 75

**სხდომის დაწყების დრო: 19:30**

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:**

ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), მალხაზ ჯანგირაშვილი, ნოდარ ფეიქრიშვილი, ბესარიონ აბაშიძე, ზაზა ბიბილაშვილი, სოსო ბარათაშვილი, გოჩა სვანიძე, ზვიად კორძაძე, ცისმარი ონიანი, ქეთევან ბექაური, იმედა დვალიძე.

**დღის წესრიგი:**

1. ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთა დოკუმენტაციის განხილვა და გაწევრიანება;
2. ასოციაციის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
3. აღმასრულებელი საბჭოს წევრებს შორის ფუნქციების დანაწილება;
4. თავმჯდომარის ინიციატივა: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის სხდომის ოქმის მიხედვით, ასოციაციის თავმჯდომარის ხელფასის სახით განსაზღვრული 5000 ლარის 30%-ით შემცირება;
5. ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ახალი პლასტუკური ბარათების დამზადება; პლასტიკური ბარათების სავალდებულო რეკვიზიტების შემუშავება.

## *საბჭოს წევრთა მსჯელობის შედეგად ერთხმად*

### **გ ა დ ა წ ყ დ ა:**

1. ასოციაციის თავმჯდომარის და აპარატის თანამშრომლებისთვის კუთვნილი ხელფასების გაცემა მოხდეს არსებული საშტატო მდგომარეობისა და არსებული საშტატო განრიგის მიხედვით;
2. ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხის განხილვა გადაიდოს საწევრო დავალიანების მქონე წევრების გამოვლენამდე, რათა განისაზღვროს ასოციაციის წლიური შემოსავალი და ამის გათვალისწინებით დამტკიცდეს ასოციაციის ბიუჯეტი.
3. ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის სხდომის ოქმის მიხედვით, ასოციაციის თავმჯდომარის ხელფასი განისაზღვროს 5000 ლარის ოდენობით;
4. კომიტეტების რაოდენობა შემცირდეს მაქსიმუმ 4-მდე. კომიტეტების კოორდინატორებმა განსაზღვრონ კუთვნილი მიმართულებების ბიუჯეტი, რომელიც გათვალისწინებული იქნება ასოციაციის საერთო ბიუჯეტში;
5. ინფორმაცია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს პრესაში;
6. მიმდინარე წლის 20 მარტამდე მოხდეს საერთო კრების თარიღის განსაზღვრა.

### **ზაზა ხატიაშვილი**

**ასოციაციის თავმჯდომარე**